ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი ..... ივნისი 2026 წელი

ქალაქ ბათუმში, კონსტიტუციის ქუჩა №4-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განსახორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში, ავარიულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინის ფაქტობრივი მოსარგებლისთვის სანაცვლო ქონების გადაცემის თაობაზე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანო „ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ ბათუმში, კონსტიტუციის ქუჩა №4-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.30.26.024) ახორციელებს ავარიული საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლებას.

დღეის მდგომარეობით, შეთანხმება მიღწეულია ყველა მაცხოვრებელთან და შესაძლებელია შენობა-ნაგებობის დემონტაჟისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება. ამასთანავე, ხსენებულ მისამართზე მ.გ.-ეს (პ/№) ფაქტობრივ მფლობელობაში (რეგისტრაციის გარეშე) გააჩნია საცხოვრებელი ფართი (დაახლოებით 12,0 კვ.მ.). მ.გ.-ის მფლობელობაში არსებულ ფართის საკუთრებაზე ანდა სარგებლობაზე რაიმე სახის პრეტენზია მესამე პირებს არ გააჩნიათ. ამასთანავე, მ.გ.-თვის შეთავაზებული იქნა ქალაქ ბათუმში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა №7-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.30.29.025) ასაშენებელ შენობა-ნაგებობაში, სადაც პროექტის შესაბამისად არსებული მინიმალური ფართის მქონე ბინის ფართობია 26,0 კვ.მ. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულების თანახმად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული სახლების მდგომარეობის შემსწავლელი მუდმივმოქმედი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ავარიული საცხოვრებლის მესაკუთრეს/ფაქტობრივ მოსარგებლეს შესაძლებელია გადაეცეს გაზრდილი ფართი არაუმეტეს 15 კვ.მ-სა.

შესაბამისად, ქალაქ ბათუმში, კონსტიტუციის ქუჩა №4-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.30.26.024) ავარიული საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების ღონისძიების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, საჭიროა ავარიული საცხოვრებელი სახლის ფაქტობრივ მოსარგებლეს მ.გ.-ს (პ/№) გადაეცეს ქალაქ ბათუმში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა №7-ში ასაშენებელ შენობა-ნაგებობაში არსებული სანაცვლო ფართი 26,0 კვ.მ.-ის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 56-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმში, კონსტიტუციის ქუჩა №4-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განსახორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში, ავარიული საცხოვრებლის ფაქტობრივ მოსარგებლეს მ. გ.-ეს (პ/№) გადაეცეს ქალაქ ბათუმში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა №7-ში ასაშენებელ შენობა-ნაგებობაში პროექტით გათვალისწინებული 26,0 კვ.მ. საცხოვრებელი ბინა, სანაცვლო ქონების სახით.

2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს ამ განკარგულებიდან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა 30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, კონსტიტუციის ქუჩა №4-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განსახორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში, ავარიულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინის ფაქტობრივი მოსარგებლისთვის სანაცვლო ქონების გადაცემის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანო „ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულების შესაბამისად,¬ ქალაქ ბათუმში, კონსტიტუციის ქუჩა №4-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.30.26.024) ახორციელებს ავარიული საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლებას.

დღეის მდგომარეობით, შეთანხმება მიღწეულია ყველა მაცხოვრებელთან და შესაძლებელია შენობა-ნაგებობის დემონტაჟისათვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება. ამასთანავე, ხსენებულ მისამართზე მ.გ.-ეს (პ/№) ფაქტობრივ მფლობელობაში (რეგისტრაციის გარეშე) გააჩნია საცხოვრებელი ფართი (დაახლოებით 12,0 კვ.მ.). მ. გ.-ის მფლობელობაში არსებულ ფართის საკუთრებაზე ანდა სარგებლობაზე რაიმე სახის პრეტენზია მესამე პირებს არ გააჩნიათ. ამასთანავე, მ.გ.-თვის შეთავაზებული იქნა ქალაქ ბათუმში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა №7-ში ასაშენებელ შენობა-ნაგებობაში, სადაც პროექტის შესაბამისად არსებული მინიმალური ფართის მქონე ბინის ფართობია 26,0 კვ.მ. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულების თანახმად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული სახლების მდგომარეობის შემსწავლელი მუდმივმოქმედი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ავარიული საცხოვრებლის მესაკუთრეს/ფაქტობრივ მოსარგებლეს შესაძლე¬ბელია გადაეცეს გაზრდილი ფართი არაუ¬მეტეს 15 კვ.მ-სა.

შესაბამისად, ქალაქ ბათუმში, კონსტიტუციის ქუჩა №4-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.30.26.024) ავარიული საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების ღონისძიების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, საჭიროა ავარიული საცხოვრებელი სახლის ფაქტობრივ მოსარგებლეს მ.გ.-ეს (პ/№) გადაეცეს ქალაქ ბათუმში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა №7-ში ასაშენებელ შენობა-ნაგებობაში არსებული სანაცვლო ფართი 26,0 კვ.მ.-ის ოდენობით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში, კონსტიტუციის ქუჩა №4-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით განსახორციელებული ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ფარგლებში, ავარიულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინის ფაქტობრივი მოსარგებლისთვის სანაცვლო ქონების გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“

დ) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური.

ე) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური მართვის
სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**